ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №264/2016

ქ. თბილისი 11.07.2016

ერთის მხრივ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტო (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი სააგენტოს უფროსის ზურაბ ჩეკურაშვილის სახით და მეორეს მხრივ, **სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო** (შემდგომში "მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის მოადგილის, **პაატა დოლიძის** სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტისა და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის „ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი.

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია მუზეუმის მომსახურების (CPV 92521000) შესყიდვა.

1.2. შესყიდვის ობიექტი კონკრეტულად გულისხმობს „შემსყიდველის" მიერ ვარძიის ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმ-ნაკრძალში მიყვანილი ვიზიტორებისათვის ხარისხიანი საექსკურსიო და გიდის მომსახურების გაწევას.

2.მხარეთა ვალდებულებები

2.1. **„შესმსყიდველი" ვალდებულია:**

2.1.1. უზრუნველყოს ვარძიაში ვიზიტორების ჩაყვანა.

2.1.2. წინასწარ აცნობოს ვარძიის ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმ-ნაკრძალის ადმინისტრაციას ვიზიტორების რაოდენობა და მათი სასაუბრო ენა.

2.2. **"მომწოდებელი" ვალდებულია:**

2.2.1. გააცნოს ვიზიტორებს ვარძიის ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმ-ნაკრძალის ტერიტორიაზე მოქცევის წესები.

2.2.2. უზრუნველყოს კომპლექსის ტერიტორიისა და მუზეუმის შეუფერხებელი დათვალიერება მაღალკვალიფიციური საექსკურსიო სალექციო მომსახურებით.

3. ანგარიშსწორება და ფასები

3.1. ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება შეადგენს 250 (ორასორმოცდაათი) ლარს.

3.2. „შესმყიდველის“ მიერ მიყვანილი ერთი ვიზიტორის შესვლის ღირებულება შეადგენს:

- მოზრდილი ტურისტი 3 (სამი) ლარი;
- საექსკურსიო გიდის მომსახურება 25 (ოცდახუთი) ლარი;

3.3. ანგარიშწორება „მომწოდებელთან“ განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში, თანხა ჩაირიხება წინამდებრა ხელშეკრულებაში მითითებულ, „მომწოდებლის“ საბანკო რეკვიზიტებზე.

3.4. ანგარიშწორება „მომწოდებელთან“ განხორციელდება ფაქტიურად გაწეულ მომსახურების შესაბამისად გამოწერილი საგადახდო დოკუმენტების საფუძველზე, დოკუმენტების წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

3.5. ხელშეკრულება ფინანსდება სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული საკუთარი შემოსავლებით.

4.მხარეთა პასუხისმგებლობა

4.1. ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში სადაო საკითხები გადაიჭრება მოლაპარაკების გზით, წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს მომქმედი კანონმდებლობით.

4.2. ანგარიშწორების ვადებსი დარღვევის შემთხვევაში ,,შესმყიდველი” ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთი ღირებულების 1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

4.3. „მომწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშკრულების საერთო ღირებულების 1%-ის ოდენობით ყოველ ასეთ შემთხვევაზე.

4.4. პირგასამტეხლოების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს მათზე დაკისრებული ძირითადი ვალდებულების შესრულებისა და ნაკლის გამოსწორებისაგან.

5.ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

5.1. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დასაშვებია ურთიერთშეთანხმების შემდეგ, თუ ამით არ ილახება ერთ-ერთი მხარის ინტერესები.

5.2. ხელშეკრულების პირობებნში ცვლილების შეტანა ფორმდება წერილობით, მხარეების მიერ ხელმოწერით დადასტურებული შეთანხმების აქტის საფუძველზე.

6.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 ოქტომბრამდე.

7.მხარეთა იურიდიული მისამართები და ხელმოწერა.

სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტო	სსიპ -საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
ს.კ. – 205142200 თბილისი, მარშალ გელოვანის № 6 სახელმწიფო ხაზინა ანგ. № 200122900 კოდი TRESGE22 ტელ: (+995 32) 291-91-68 (3071)	ს.კ. – 204562311 თბილისი, თაბუკაშვილის ქუჩა. №1 სახელმწიფო ხაზინა სახაზინო კოდი. № 707617111 კოდი TRESGE22
სააგენტოს უფროსი ზურაბ ჩეკურაშვილი _____	გენერალური დირექტორის მოადგილე _____ პაატა დოლიძე